

1. 2020 წლის ფინანსური ანგარშგება

საწარმოს ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულია სააღრიცხვო პოლიტიკა. სადაც დეტალურადაა აღწერილი საზოგადოების საქმიანობის ყველა მიმართულება.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებით. რომელთა რეალური ღირებულება შესაბამისობაშია საბალანსო ღირებულებასთან.

საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე საქონლის აღრიცხვა ხდება მიმდინარედ. ყოველი თვის ბოლოს ვახდენთ საქონლის ინვენტარიზაციას და ვამოწმებთ შემოსავლების და გახარჯული საქონლის აღრიცხვის სისწორეს. ძირითადი საშუალებების და სხვა მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. გვაქვს 2414 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი თბილისში-ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის ღირებულება შეფასებულია 449004 ლარად.. შენობა-ნაგებობებიდან იმავე ტერიტორიაზე გვაქვს თანამედროვე სტილის გოგირდის აბანო და სტადიონი, რომელთაც ერიცხება ცვეთა 2%-ის ოდენობით და ექსპლოატაციის ვადა განსაზღვრულია 50 წლით. აბანოს და სტადიონის გარდა საზოგადოების ბალანსზე ირიცხება სხვადასხვა ძირითადი საშუალებები, რომელთაც ერიცხება ცვეთა 10-20%-ის ოდენობით. აბანოს შენობაში განთავსებულია ბარი, სადაც იყიდება საჭირო მომსახურებისთვის განკუთვნილი საქონელი (წვენიები, წყალი, საპონი, ჩუსტები, ჩაი-ყავა და სხვა). რომელთა ჩამოწერაც ხდება რეალიზაციის მიხედვით და გამოყენებულია საშალო შეწონილი მეთოდი. ამასთან ადგილზე მომსახურების დროს გამოიყენება ზეწრები, პირსახოცები და ხალათები. აბანოს ტერიტორიით სარგებლობს მექისე, რომელიც იხდის ქირას ფიქსირებული შემონატანით.

სტადიონის გაქირავება ხდება საათობრივად. არიან როგორც მუდმივი, ასევე დროებითი საფეხბურთო გუნდები.

მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის გადახდა ხდება როგორც ტრანზაქციებით ისე სალაროს მეშვეობით. სალაროდან შემოსული თანხის გატანა ხდება აუცილებელი მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ან შესყიდვების შემთხვევაში. დანარჩენი კი შეგვაქვს ბანკის ანგარიშზე და ვიყენებთ როგორც გადასახადების ასევე სესხის და სხვა ვალდებულებების დასაფარად. საზოგადოებას ანგარიშები გახსნილი აქვს სს თიბისი ბანკში და სს ხალიკ ბანკში.

საზოგადოება არ წარმოადგენს მოიჯარეს. ვიყენებთ ჩვენს მიერ შეძენილ იმვენტარს და შენობა-ნაგებობებს. აბანოს ფუნქციონირებისთვის ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული სხვადასხვა მომსახურე კომპანიებთან გოგირდის და სამელი წყლის მისაღებად: დასუფთავების, დაცვის სამსახურის, სამრეცხაოს და სხვა ფირმებთან.

პანდემიის გამო დროებით შეწყდა ეკონომიკური საქმიანობა, ამასთან ადგილი ქონდა ვალუტის კურსის მკვეთრ ცვლილებას, რამაც დიდი ფინანსური ზარალი მიაყენა საზოგადოებას,

მპს ლისის აბანოების დირექტორი:



/დავით მინდიაშვილი/

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სრული შემოსავლების ანგარიშგება შპს ლისის აბანოები	2020 წელი	2019 წელი
ამონაგები		
სტადიონით მომსახურებიდან	29 670	58 802
აბანოს მომსახურებიდან	225 706	441 794
ბარის გაყიდვებიდან	38 650	73 817
იჯარიდან	2 542	6 102
სხვა		10 069
სულ შემოსავალი	296 568	590 584
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება:		
თვითღირებულება	-103 508	-180 516
საწყისი მარაგები	-15 441	-21 264
მარაგების შესყიდვა	-11 987	-28 596
გადამუშავების დანახარჯები: კომუნალურები, ცვეთა და ხელფასი	-90 243	-146 097
საბოლოო მარაგები:	14 163	15 441
საერთო მოგება	193 060	410 069
სხვა შემოსავალი	0	14
ადმინისტრაციული ხარჯი		
ხელფასი	-81 667	-104 039
ცვეთა და ამორტიზაცია	-11 647	-11 550
საპროცენტო შემოსავალი	0	5
საპროცენტო ხარჯი	-80 811	-104 916
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული სხვა საერთო ხარჯი	-55 451	-77 511
სულ საოპერაციო ხარჯები	-229 576	-297 997

შპს ლისის აბანოების დირექტორი:

/დავით მინდიაშვილი/



[Handwritten signature]

საოპერაციო მოგება/ზარალი	-36 516	112 072
მარაგების გაუფასურების ხარჯი	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი	-174 086	--89 395
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	-174 086	-89 395
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5 708	2 578
მოგება/ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-204 894	25 255
მოგების გადასახადი (წინა წლებიდან ზარალიანია და არ დავარიცხეთ)		
მოგება/ზარალი	-204 894	25 255
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		0
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	569 818	544 068
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-204 894	25 750
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	364 924	569 818

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი ფორმატით დემონსტრირებულია ხარჯების აგრეგირება ფუნქციების მიხედვით (რეალიზებული პროდუქციის , მომსახურების და რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება, კომერციული დანახარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები და სხვ.). ვინაიდან წლის განმავლობაში შპს ლისის აბანოების საკუთარ კაპიტალში ცვლილება მოგებამ ან ზარალმა განაპირობა, საწარმომ გადაწყვიტა სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების 2019 -2020წლების ანგარიშგების წარდგენა.

ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით კლასიფიცირება	2020 წელი	2019 წელი
ამონაგები	296 568	590 585
სხვა შემოსავალი	5 708	2 578

შპს ლისის აბანოების დირექტორი:

/დავით მინდიაშვილი/



[Handwritten signature]

ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებში:	-1 272	-5 823
მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება	0	0
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-1 272	-5 823
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები	-95 933	-124 767
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-39 580	-39 483
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	0	0
სხვა ხარჯი	-115 489	-128 385
ფინანსური დანახარჯები	-254 896	-268 919
მოგება დაბეგვრამდე/ზარალი	-204 894	25 786
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-204 894	25 786

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი ფორმატით დემონსტრირებულია ხარჯების აგრეგირება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით (გამოყენებული ნედლეული და მასალები, თანამშრომელთა ხელფასები, ცვეთა და ამორტიზაცია და სხვ.) ვინაიდან წლის განმავლობაში შპს ლისის აბანოების საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგებაში ან ზარალში განაპირობა, საწარმომ გადაწყვიტა სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგების წარდგენა.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის

ბალანსი შპს ლისის აბანოები	2020 წელი	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	10 738	57 180	78 764
სასაქონლო მატერიალური მარაგები	14 169	15 441	21 264
სავაჭრო მოთხოვნები	3 295	2 071	1 410
გადახდილი ავანსები	6 537	6 008	4 875
სხვა მიმდინარე აქტივები	1 782	11	0
სულ მიმდინარე აქტივები	36 522	80 712	106 313

შპს ლისის აბანოების დირექტორი:

/დავით მინდიაშვილი/



გრძელვადიანი აქტივები			
შენობა-ნაგებობა	1 340 774	1 368 707	1 396 640
სხვა გრძელვადიანი აქტივები და მოთხოვნები	486 923	553 529	561 606
სულ გრძელვადიანი აქტივები	1 827 697	1 922 237	1 958 246
სულ აქტივები	1 908 707	2 002 948	2 064 559
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე კრედიტ.ვალდებულებები	90 416	83 193	132 079
საგადასახადო ვალდებულებები	0	4 137	8 633
სულ მიმდინარე ვალდებულებები	90 416	87 331	140 712
გრძელვადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული ვალდებულება	1 453 367	1 345 800	1 379 815
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1 453 367	1 345 800	1 379 815
სულ ვალდებულებები	1 543 783	1 433 130	1 520 527
კაპიტალი			
კაპიტალი	847 024	847 024	847 024
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზ	89 724	89 724	89 724
სხვა რეზერვი	4	4	4
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-571 828	-366 934	-392 720
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	-204 894	25 786	59 912
სულ საკუთარი კაპიტალი	364 924	569 818	544 032
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1 908 707	2 002 948	2 064 559

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება შპს ლისის აბანოები	2020 წელი	2019 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
მყიდველებიდან მიღებული ფ/ს	348 722	684 343
მომწოდებლებზე გადახდილი ფ/ს	-86 731	-163 062
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-6 013	-15 080
თანამშრომლებისათვის სგადახდილი ხელფასები	-75 424	-99 415
გადახდილი გადასახადები	-74 857	-131 737
ბანკის საკომისიო	-5 359	-5 002
სხვა	20 000	-8 277

შპს ლისის აბანოების დირექტორი:

(დავით მინდიაშვილი/



[Handwritten signature]

სულ ფ/ნ საოპერაციო საქმიანობიდან	120 340	261 770
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ფ/ს	-11428	-51 267
სულ	108913	210 503
საფინანსო საქმიანობა		
სესხის გადახდა	-78 845	-130 569
სესხის გადახურვა		
გადახდილი პროცენტები	-80 811	-104 916
გაცემული სესხის დაბრუნება		
მიღებული პროცენტები		3
სესხის გადაფარვის ხარჯი		
საკურსო სხვაობა	4 302	3 395
სულ ფ/ნ საფინანსო საქმიანობიდან	-155 354	-232 087
სულ წმინდა ფ/ნაკადები		-21 584
საწყისი ფ/ნ	57180	78 764
საბოლოო ფ/ნ	10738	57 180
ფ/ნ ზრდა/შემცირება	-46442	-21 584

1. ზოგადი ინფორმაცია:

ლისის აბანოები შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და არის ქ.თბილისი, აბუსერიძე-ტბელის 13. ფუნქციონირებს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. შპს ლისის აბანოებს არ ყავს შეიღობილი საწარმოები და ინვესტიციებსაც არ განახორციელებს. მისი ძირითადი საქმიანობაა: გოგირდის აბანოთი მომსახურება, სტადიონის საათობრივი გაქირავება და მომსახურებისთვის საჭირო საქონლის რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ფულად ერთეულებში (ლარი).


ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

3. ამონაგების აღიარება.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და

შპს ლისის აბანოების დირექტორი:

/დავით მინდიაშვილი/



„საქართველოს“ ქვეყნის მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

4. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

5. მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახდო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

2020 წელი ზარალიანია

6. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა-ნაგებობები 2 პროცენტი. სხვა ძირითად საშუალებებზე 10-20 პროცენტი. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

7. არამატერიალურ აქტივები

არ გვაქვს.

8. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის

მპს ლისის აბანოების დირექტორი:

/დავით მინდიაშვილი/

ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

9. იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს

მპს ლისის აბანოების დირექტორი:

(დავით მინდიაშვილი/



ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. ბანკის სესხები და საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში

13. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

– დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება იფარება ყოველთვიურად საშტატო განრიგისა და ხელშეკრულებების შესაბამისად. ზემოაღნიშნული დანახარჯების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯებში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. მომუშავეთა რაოდენობა, 2020 წ. შეადგენდა 14 სულს.

14. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

დაუშვებელია დივიდენდების განაწილება, რადგან საზოგადოების დაგროვილი ზარალი არ ამოწურულა და ბანკის სესხია დასაფარი, რომლის დაფარვის ვადა 04.01.2031 წელს იწურება. ნაცვლად 2027 წლისა, რადგან მოხდა სესხის რეფინანსირება (პანდემიის გამო)

15. ამონაგები

გაყიდვები	2020წ	2019წ	ჯამი
	296 568	590 585	887 153

16. სხვა შემოსავალი

ძირითადად მოიცავს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობას და საკურსო სხვაობიდან მიღებულ შემოსავალს

	2020წ	2019წ	ჯამი
საპროცენტო ბანკში განთავსებულ თანხაზე	0	5	
საკურსო	221 965	74 608	
შემოსულობა ძირ საშუალებების რეალიზაციიდან	0	2 578	
სხვა საჩუქარი	15	14	
ჯამი	221 980	77 191	

17. ფინანსური დანახარჯები

ბანკის სესხი და საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი აღიარებული იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას

	2020წ	2019წ	ჯამი
სესხი	-80 811	-104 916	-185 727
საკურსო	-395 962	-164 003	-559 965

შპს ლისის აბანოების დირექტორი:



(დავით მინდიაშვილი/

[Handwritten signature]

ჯამი	-476 773	-268 919	-745 692
------	----------	----------	----------

18. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020წ	2019წ
საწყისი მარაგი	15 441	21 264
სსმფ-ის შესყიდვა	11 987	28 596
გადამუშავების დანახარჯი		
კომუნალურები	40 182	62 574
დაქირავებულები	14 266	20 728
თეთრეულის რეცხვა	7 862	18 212
ცვეთა	27 933	27 933
სხვა	0	16 651
საბოლოო მარაგი	14 169	15 441
თ/დ	103 508	180 516
	14 169-15 441=-1 272	15 441-21 264=-5 823

19. მოგება დაბეგვრამდე

	2020წ	2019წ
მოგება /ზარალი	-204 894	25 786
წინა წლის ზარალი	-366 934	-392 720
მოგების გადავადებული გადასახადი	0	3 868

ვინაიდან ადგილი აქვს ისტორიულ ზარალს და წინა წლების ზარალმა გადაფარა 2019წლის მოგება. შესაბამისად არ ქონია ადგილი დივიდენდის განაწილებასაც.

20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო დებიტორები

2020წ	2019წ
3 295	2 071


წინასწარი გადახდები

2020წ	2019წ
1 782	6 008

21. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მშს ლისის აბანოების დირექტორი:

დავით მინდიაშვილი/



[Handwritten signature]

სესხი აღებულია ხალიკ ბანკიდან შპს ლისის აბანოების კუთვნილი მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების და სხვა მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების უზრუნველყოფით. სესხის აღების მიზანი იყო აბანოს შენობის და სტადიონის მშენებლობისთვის პაშა ბანკიდან აღებული სესხის გადაფარვა შედარებით ხელსაყრელი პირობებით. დაფარვა დაიწყო 2017 წლის 1 ივნისიდან. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია 7.5%. სესხის ოდენობა 580000 აშშ \$ ექვივალენტი. სესხი 28.04.2027 წელს უნდა დაფარულიყო.

2020 წელს პანდემიის გამო მოხდა ობიექტის დროებითი დახურვა და ბანკიდან მოვითხოვეთ სესხის დაფარვის გადავადება. ბანკის დასტურით 2021 წლის 4 იანვარს მოხდა პროცენტის 4 თვიანი, ხოლო ძირი თანხის 1 წლიანი გადავადება და შესაბამისად სესხის დაფარვის პერიოდის გადავადებაც 2031 წლის 4 იანვრამდე (120 თვის ვადით). გადასახდელი თანხა განისაზღვრა 456000 აშშ \$-ის ექვივალენტით. საპროცენტო განაკვეთი 8,5%.

პროცენტი და საკურსო სხვაობები იხურება მოგება-ზარალის ანგარიშიდან

24. მოკლევადიანი ვალდებულება

მოკლევადიანი ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენას 90416,25 ლარს. აქედან 70000 ლარი საამშენებლო კომპანიასთან დარჩენილი ვალდებულებაა, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშვა 2014 წელს. და იფარება ეტაპობრივად. დანარჩენი თანხა მომსახურე კომპანიებზე ვალდებულებაა, რომელიც დიფარა 2020წ.

25. დაქირავებულ მომუშავეთა გასამჯელოების ვალდებულება

2020 წელს საზოგადოებაში დასაქმებული იყო 14 მუშაკი, რომელთაც წლის განმავლობაში დაერიცხათ 95933,44 ლარი, მ.შ საშემოსავლო გადასახადის სახით 13173,54 ლარი. ვისარგებლეთ საშემოსავლო გადასახადის შეღავათით და 750 ლარამდე დარიცხულ ხელფასებზე 5682,41ლარი.

მოკლევადიანი	31.12.2020წ	01.01.2020წ
ვალდებულება	1 654	0
დამატებით დარიცხვა წლის	95 933	125 872
გადახდა საშემოსავლოსთან, (მ.შ 5682,41ლ. შეღავათის)	94 279	125 872
ვალდებულება	0	0

26. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	2020წ	2019წ
ფულადი სახსრები სალაროში	1 268	4 031

შპს ლისის აბანოების დირექტორი:

(დავით მინდიაშვილი/



ფულადი სახსრები ბაკში:	9 470	53 149
დოლარის ექვივალენტი ლარში	66	40 294
ლარი	9 404	12 854
სესხი	-1 453 367	-1 345 800
ჯამი	-1 442 629	-1 235 472

27. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

წელი	კაპიტალი	პერიოდის მ/ზ	სულ კაპიტალი
დაგროვილი ზარალი			
2018	847024	59 912	544 032
2019	847024	25 786	569 818
2020	847 024	-204 894	364 924

28. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა და დამფუძნებლებმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 25 მარტს.

შპს ლისის აბანოების დირექტორი:



/დავით მინდიაშვილი/